მისალოცი ბარათი

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	მხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	
კითხვის დონე:	II
ტექსტის მოკლე შინაარსი:	მხატვრული ტექსტი, რომელიც მოსწავლის მიერ მეგობრისათვის დაბადების დღის მილოცვის პროცესს აღწერს. ტექსტში ასევე მოცემულია მეგობრის მცირე დახასიათება, რომელიც ტექსტის გმირებს უკეთ აცნობს პატარა მკითხველს.

ტექსტის მიზანი

„მისალოცი ბარათი“ ნარატიული მხატვრული ტექსტია, ტექსტის მიზანია მოსწავლეებს გააცნოს დაბადების დღის მილოცვის ტრადიციული წესები და ფორმები, ასევე დაასწავლო მესამე პირის შესახებ ინფორმაციის ლაკონური გადმოცემის ტექნიკა და ასევე მისცეს მას დაბადების დღის მისალოცი ტექსტის კონკრეტული ნიმუში, რომლის გამოყენება მომავალ მკითხველს თავისუფლად შეეძლება.

ტექსტის ამოცანებია:

ფონეტიკური	ლექსიკური	გრამატიკული
ვუყიდე - უყიდე (არა გრამატიკული, არამედ ფონეტიკური/აუდიალური ამოცანის დასმის თვალსაზრისით); „ჯანმრთელობა“ - და არა ჯამთელობა ან ჯამრთელობა.	მილოცვის ფორმულები. მისალოცი - მივულოცე ფორმების ურთიერთმი-მართების გარკვევა.	„კიდევ“ - შინაარსობრივი დატვირთვა და სწორად გამოყენება კონტექსტში. კეთილი სურვილის გამოხატვის ფორმულა და ძახილის ნიშანის ადეკვატურად გამოყენება.

გაგება/გააზრების ამოცანები

ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები	მოკლე, სხარტი წანადადებები აწმყო და წარსული დროის სწრაფი მონაცვლეობით. ტექსტის სტრუქტურის მცირე ცვლილება, რომელიც მილოცვის ფორმულით წარმოჩინდება.
შინაარსობრივი მხარე	ტექსტში ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება ნათელი, რატომ ულოცავს დაბადების დღეს მეგობარი. მისალოცი ბარათის ფორმა ერთგვარი „ეშმაკური გამოცანაა“ მოსწავლეებისათვის, რათა მათ დაასახელონ, ვინ არის ის ბავშვი, რომელიც მეგობრის დაბადების დღის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.
ჟანრობრივი მხარე	ნარატიული ტექსტი, რომელშიც პირველი პირი გვაწვდის ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასა და ქმედებებზე.

საჭირო დამატებითი მასალაა:

მისალოცი ბარათი თითოეული მოსწავლისათვის. ტექსტური ორგანიზატორები.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ იციან, როდის არის მათი მეგობრების დაბადების დღე. ჰკითხეთ მათ, თუ მიულოცავთ მეგობრებისათვის დაბადების დღე? ჰკითხეთ, როგორ მიულოცეს დაბადების დღე. მიეცით დაფაზე მინიშნებები:

1. საჩუქარი
2. ყვავილები
3. მისალოცი ბარათი

ახლა ჰკითხეთ, თვითონ როგორ მიულოცეს მეგობრებმა დაბადების დღე. ჰკითხეთ, რა მოიწონათ/დაამახსოვრდათ ყველაზე უკეთ დაბადების დღეზე.
მიეცით დაბადების დღეზე მინიშნებები:

1. დაბადების დღის ტორტი
2. დაბადების დღის ზეიმი
3. მეგობრის საჩუქარი
4. მასწავლებლის მილოცვა და ა.შ.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

სთხოვეთ მოსწავლეებს, გულდასმით მიადევნონ თვალი ტექსტს, სანამ თქვენ კითხულობთ მათთვის. სთხოვეთ, რომ ხაზი გაუსვან სიტყვებს, რომლებიც ვერ გაიგეს. წაიკითხეთ საშუალო/ნელი ტემპით, გამდიდრებული კითხვის მეთოდით, სადაც ემოციური და შინაარსობრივი აქცენტები კარგად არის გამოკვეთილი. ერთხელ წაკითხვის შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს, უნდათ თუ არა, რომ კიდევ ერთხელ წაუკითხოთ ტექსტი. მოიქეცით მოსწავლეების სურვილის შესაბამისად

და სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი. წააკითხეთ თითო წინადადება თითო მოსწავლეს ჩანაცვლებით. სთხოვეთ, რომ მისალოცი ბარათის ტექსტი ერთად წაიკითხონ.

კითხვის შემდეგომი ფრაზა:

დაწერეთ დაფაზე სიტყვები:

მისალოცი -
გილოცავ -
გისურვებ -

სთხოვეთ მოსწავლეებს, მოვიდნენ მაგიდასთან და დასტიდან ამოიღონ ერთი ბარათი, რომელზეც სიტყვაა მოცემული. სთხოვეთ, დასხდნენ მერხებთან. თითოეულ მათგანს მიმართეთ და სთხოვეთ, წაიკითხოს თავისი სიტყვის ბარათიდან გამომდინარე, სწორი წინადადება დაფაზე დაწერილი ერთ-ერთი სიტყვის გამოყენებით.

„სიტყვების ბარათებზე“ შემდეგი სიტყვები იყოს მოცემული:

დაბადების დღეს, დღეობას, არდადეგებს, წარმატებებს, ახალ წელს, სკოლის დამთავრებას, გამარჯვებას, ბარათი, დღე, ალბომი, თარიღი, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, სიკეთეს.

დაურიგეთ მოსწავლეს ორგანიზატორი და სთხოვეთ, შეავსონ სიტყვები შინაარსის მიხედვით:

ნინოს ..... აქვს 8 აგვისტოს.

ნინო არის ..... მეგობარი.

ნინო ათი ..... გახდა.

ნინო მარის ..... .

ნინოს მარიმ ..... უყიდა.

ნინოსთვის მარიმ ..... ბარათი დაწერა.

მისალოცი, წლის, მარის, აქვს, ყვავილები, კლასელია

საშინაო დავალება:

სთხოვეთ მოსწავლებს, რომ დაუწერონ მისალოცი ბარათი რომელიმე თანაკლასელს იმ ბარათზე, რომელიც მათ დაურიგეთ. სთხოვეთ მათ, რომ გამოიყენონ ის სიტყვები, რომლებიც მათი და მათი მეგობრების „სიტყვების ბარათებზე“ იყო მოცემული:

.....,

გილოცავ ..... !

გისურვებ .....

შენი .....